პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 მაისი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 119 (14419)

საბჭოთა კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიული მრეწველობისა და წიგნის ვაჭრობის მუშაკებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოებისა და წიგნის ვაჭრობის მუშაკებს საბჭოთა საგამომცემლო საქმის ისტორიაში ღირსშესანიშნავ თარიღს — ერთიანი სახელმწიფო გამომცემლობის შექმნის 50 წლისთავს.

საბჭოთა საგამომცემლო საქმის განვითარება სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. სოციალისტურ სახელმწიფოში საგამომცემლო საქმე, ისევე როგორც მთელი ბეჭდვითი სიტყვა, ისტორიაში პირველად ეკუთვნის მშრომელებს, გამოხატავს მათს ინტერესებს, ემსახურება მუშათა კლასის ისტორიული მისიის განხორციელებას — კომუნიზმის მშენებლობას.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გამომცემლობათა გამოცდილი მუშაკების, კვალიფიციური პოლიგრაფისტების, წიგნის გამავრცელებლების მრავალრიცხოვანი კაღრები აღზრდა. ახლა სოციალისტური კულტურის ამ დარგში [illegible] ნახევარი მილიონი კაცი [illegible] თითეულ სახლში, თვითეულ საბჭოთა ოჯახში, იგი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში, მათს იდეურ და მხატვრულ განვითარებაში, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების დაუფლებაში, მოწინავე კულტურისა და მეცნიერების მწვერვალების დაპყრობაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა გამომცემლობების, პოლიგრაფიული მრეწველობისა და წიგნის ვაჭრობის მუშაკთა მრავალრიცხოვანი რაზმი ყველაზე პირნათლად შეასრულებს თავის მაღალ მოვალეობას ხალხისა და პარტიის წინაშე, ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ავამაღლოთ ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა, განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი — „მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ქალაქ ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკა“.

ბიურომ აღნიშნა, რომ პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაუმჯობესეს ქალაქის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობა, უფრო მეტად ზრუნავენ იმისათვის, რომ ხელმძღვანელ კადრებს ჩაუნერგონ მინდობილი საქმისა და პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. მათ საქმიანობაში ვლინდება მეტი ქმედითობა, კონკრეტულობა, პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმების, ბიუროების, კრებების განსახილველად სულ უფრო ხშირად გამოაქვთ პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებისა და მუშაობის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროებზე, პლენუმებსა და პარტიული აქტივის კრებებზე განსახილველად საკითხების მომზადებაში მონაწილეობს საქალაქო კომიტეტის სულ უფრო მეტი წევრი. რეგულარულად ისმენენ საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშებს. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა.

ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლებამ ხელი შეუწყო იმს, რომ ბევრი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაცია ახლა უფრო ღრმად სწვდება ეკონომიკის საკითხებს, რაზმავს მშრომელებს ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. შარშან ქალაქის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 106,2 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა კი 104,8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება 6,9 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებმა. დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა ენგურჰესის მშენებლობაზე. გარკვეული მუშაობა გაწეული მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ დიდი ნაკლოვანებებია ქალაქ ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად და პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, ცალკეული პარტიული ორგანიზაციები მთელ რიგ შემთხვევებში ჯეროვან უყურადღებას არ უთმობენ კადრების სწორად შერჩევას და ყოველთვის როდი იჩენენ პრინციპულობასა და დიდ მომთხოვნელობას ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც არღვევენ პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, ვერ უზრუნველყოფენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ზოგიერთი ხელმძღვანელის მიმართ საქალაქო კომიტეტი სჯერდება მრავალ გაფრთხილებას, თუმცა მდგომარეობა ამ ორგანიზაციებში არ უმჯობესდება.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის როდი უთმობს ჯეროვან უყურადღებას მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლს, ზოგ შემთხვევაში შემოწმებას ფორმალური ხასიათი აქვს, რაც ამცირებს ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. არის ფაქტები, როცა ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია არ განიხილავს საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილებებს. ცალკეულ პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიულ კრებებს ცუდად ამზადებენ და დაბალ დონეზე ეწყობა, არ ჩაღდება კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები უხეშად არღვევენ პარტიულ დისციპლინას, არ ესჯრებიან პარტიულ კრებებს, დროზე და სრულად არ იხდიან პარტიულ და პროფკავშირულ შესატანს, ამორალურად იქცევიან, რითაც ხახლის იტეხენ, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს გადაცდომანი არ ხდება პარტიული კრებების განხილვის საგანი.

საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ აყენებს სრულად ყველა იმ პირობას, რომლებიც მეურნეობრობის ახალმა სისტემამ შექმნა. საკმაო ყურადღება არ ეთმობა ტექნიკური პროგრესის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ზოგიერთი სამრეწველო საწარმო (ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, პურის კომბინატი და სხვები) ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმას ასორტიმენტის, შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით. ჯეროვანი ბრძოლა არ წარმოებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გაიზარდა წუნით გამოწვეული დანაკარგები. ზოგიერთი სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაცია, და განსაკუთრებით ენგურჰესი ვერ ასრულებენ კაპიტალური მშენებლობის გეგმას.

ცალკეულ საწარმოებში და მშენებლობებზე დაბალია შრომის დისციპლინა, არის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდი დენადობა. ცალკეული ხელმძღვანელები არღვევენ შრომის კანონმდებლობას, ნაკლებად ზრუნავენ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ აამაღლა ყველა ხელმძღვანელი მუშაკის პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის. ქალაქის მთელ რიგ საწარმოებში, ენგურჰესის მშენებლობაზე კი არ მცირდება, არამედ იზრდება სოციალისტური საკუთრების დაკაცება. ცალკეულ სავაჭრო ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ უკვე სახელგატეხილი პირნი, რომლებიც უხეშად არღვევენ ვაჭრობის წესებს, ურიგდებიან დაკაცებას.

მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ცალკეული მუშაკები ყოველთვის როდი წყვეტენ ოპერატიულად საკითხებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დასახული ამოცანების შესრულება. ხშირია სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩადენისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ანგარებითი მიზნით სახელმწიფო მანქანების გამოყენების შემთხვევები. არის სპეკულაციისა და კერძო რეწვის ფაქტები. დამაკმაყოფილებელი არ არის ქალაქის მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, არის დარღვევები ინდივიდუალურ სახლნაო მშენებლობასა და მიწათსარგებლობაში.

მთელ რიგ ორგანიზაციებში ხშირად დროზე არ განიხილავენ მშრომელთა განცხადებებსა და წერილებს, არ არის დადგენილი მოქალაქეთა მიღების დღეები და საათები.

არსებითი ნაკლოვანებანი და შეცდომებია კადრებთან იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში. ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ იმაღლებს იდეურ-თეორიულ დონეს, არ ეწევა აღმზრდელობითს მუშაობას მშრომელებში, არ კითხულობს ლექციებსა და მოხსენებებს. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა მუშაობა არჩევითს აქტივთან, ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. პარტიული კომიტეტის ზოგიერთი წევრი და წევრობის კანდიდატი აქტიურად არ მონაწილეობს საქალაქო კომიტეტის მუშაობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აზრით, ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ საქალაქო კომიტეტის ბიურო, მუშაკები, ჯერ კიდევ არ უთმობენ საკმაო ყურადღებას ორგანიზატორულ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, ყოველთვის არ აფასებენ კრიტიკულად თავიანთ საქმიანობას და პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს ზუგდიდის საქალაქო კომიტეტს წინადადება მისცა უზრუნველყოს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მკაცრად დაცვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, დარაზმოს პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელი სკკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების, სოციალისტურ ვალდებულებათა განადღებისათვის, რომლებიც იკისრეს ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად. ამ მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ:

სისტემატურად აუმჯობესებდნენ თავიანთი საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, უფრო ფართოდ აბამდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტს ყველა წევრს გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, ავითარებდნენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, დროოდან აცნობდნენ კომუნისტებს, თუ როგორ სრულდება მიღებული გადაწყვეტილებანი, კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი, პრაქტიკაში ნერგავდნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ინფორმაციის მოსმენას საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

დღენიადაგ ზრუნავდნენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, უზრუნველყონ, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების სათავეში იყოს კვალიფიციური, პრინციპული და ავტორიტეტიანი მუშაკები. გააძლიერონ მომთხოვნელობა კადრებისადმი, გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა დავალებული საქმისათვის, უფრო გაბედულად დაანინაურონ ხელმძღვანელ სამუშაოზე სპეციალისტები, ყველაზე მომზადებული მუშები, ქალები.

სერიოზული ყურადღება მიაქციონ კადრების ქმედითი რეზერვის შექმნას.

პარტიულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლების ყოველმხრივი გაუმჯობესება, ზრდიდნენ მათ დავალებული საქმისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უმკაცრესად დაცვისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. უფრო მეტად ზრუნავდნენ პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათი ეკონომიური სწავლების ორგანიზაციისათვის. აძლიერებდნენ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას თავიანთი კოლექტივების წევრთა იდეური აღზრდისათვის, უზრუნველყოფდნენ მათს აქტიურ მონაწილეობას იდეოლოგიურ მუშაობაში.

გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, გააუმჯობესონ პარტიული კრებების, როგორც პირველად პარტორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი საშუალების, მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკა. მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიონ საამქრო პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებს, გაზარდონ მათი ბრძოლისუნარიანობა. მიაღწიონ იმას, რომ თვითეული კომუნისტი ავანგარდულ როლს ასრულებდეს საწარმოსა და დაწესებულებაში, გრძნობდეს პასუხისმგებლობას მთელი კოლექტივის მუშაობისათვის, თავისი შრომითა და ქცევით მისაბაძი მაგალითი იყოს ყველასათვის. რეგულარულად მსმენდნენ პარტიულ კრებებსა და პარტიული კომიტეტების ბიუროებზე კომუნისტთა, მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს. მიაღწიონ იმას, რომ თვითეული ხელმძღვანელი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ნამდვილი ორგანიზატორი იყოს. პირველადმა ორგანიზაციებმა და პარტიის საქალაქო კომიტეტმა საგულდაგულოდ განიხილონ ხოლმე კომუნისტთა პერსონალური საქმეები.

უფრო ღრმად სწვდებოდნენ სამრეწველო საწარმოთა, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის საკითხებს, აძლიერებდნენ მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას დავალებული საქმისათვის, უზრუნველყოფდნენ სახელმწიფო გეგმების შესრულებას ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ. სისტემატურად აღიარებდნენ თვალყურს წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას.

აძლიერებდნენ პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელი კადრების როლს სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ორგანიზაციაში.

გაშალონ აღმზრდელობითი მუშაობა და პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობით მიაღწიონ იმს, რომ ყველა მუშა და მოსამსახურე შეგნებულად ეკიდებოდეს შრომას, მკაცრად იცავდეს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინას. უზრუნველყონ შრომის კანონმდებლობის, კოლექტიური ხელშეკრულებათა პირობების მკაცრად დაცვა. ავითარებდნენ და ამტკიცებდნენ წარმოების მართვაში ერთგვაგებლობის პრინციპს. გადაჭრით აღკვეთდნენ თანამშრომლების მიმართ ცალკეული ხელმძღვანელების უხეშნი, უტაქტო დამოკიდებულების ფაქტებს.

მიაღწიონ იმას, რომ თვითეულ კოლექტივში შეიქმნას დისციპლინის უოველნაირი დარღვევისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, რათა განუხილველი არ დარჩეს დარღვევის არც ერთი ფაქტი.

შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული, ღონისძიებანი ნაწარმოთა და მშენებლობათა მუშებისა და მოსამსახურეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, საეკონომიკო საუბარი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ჟ. სამბუსთან და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ამბ. ი. ცედენბალთან.

საუბარმა ამხანაგურ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. მხარეებმა შეაფასეს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ერთობლივი კომუნიკე.

ლენინგრადელი ქალაქში



თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. მეჩსოველებთან ერთად ხარისხისათვის განუწყვეტლად ზრუნავენ ტექნიკური კონტროლის მუშაკებიც.

სურათზე: ხაჭოვი ხამჭროს კონტროლიორი, კომკავშირელი ლ. მირონოვა (მარჯვნივ) და მოწინავე მჭსოველი ლ. მელქაძე ამოწმებენ ნართის ხარისხს ჭსოვის დაწყებამდე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დროს უსწრებენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). საქართველოში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები — ჭიათურელი მაღაროელები ხუთწლედის, მეოთხე წელს გამართულად, რენტაბელურად მუშაობენ და დროს უსწრებენ.

ხუთწლედის სამ წელიწადში ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა საამბობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 2,724 ათასი მანეთის პროდუქცია და 1.807 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

„შეჯიბრების თაოსნებმა წელს სასაქონლო მარგანეცის დამზადების ოთხი თვის დაგეგმვა ოთხი დღით ადრე შეასრულეს, მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან ორკონიკიძის, კალინინის სახელობის, ახალ-ათონელის მაღაროთა კოლექტივები, რომლებმაც მეტალურგთა საკავშირო შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები დაიკავეს. მაღაროელები მიხსნიც ალმავლობით მუშაობენ.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოსა და ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს კოლეგიებმა და საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს პირველ კვარტალში ქიმიური მრეწველობისა და ნავთობპროდუქტების გასაღების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დამტკიცეს გამარჯვებულნი.

ქიმიური მრეწველობის სამმართველოსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტმა გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კოლექტივი.

მეორე პრემია დაიმსახურა „საქსამოთქმმრეწველის“ ტრესტის ბაკურიანის ანდეზიტის წარმოების კოლექტივმა, მესამე პრემია — ქიმიური მრეწველობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა.

თბილისის ნავთობბაზის კოლექტივს მიენიჭა ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია მიიღო გარდაბნის ნავთობაზის კოლექტივმა, მესამე — ბორჯომის ნავთობაზის კოლექტივმა. (საქდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო საფრანგეთის მინისტრი რ. გალე

23 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მეცნიერული კვლევის საქმეთა, ატომურ და კოსმოსური საკითხთა მინისტრი რ. გალე, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მოწვეითი.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხები, კმაყოფილება გამოთქვეს სხვადასხვა დარგში, კერძოდ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის გამო, და ხაზგასმით აღნიშნეს მნიშვნელობა, რომელსაც ორივე მხარე ანიჭებს ამ თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას. (საკდესი).

საქდესის ცნობა

მპტარებელი რაკეტების დასახულ გაშვებათა წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ 1969 წლის 23 მაისიდან წვნარი ოკეანის აკვატორიის რაიონი, რომელიც გამოცხადებული იყო საკდესის 1969 წლის 17 აპრილის ცნობაში, თავისუფალია ნაოსნობისა და თევზიმფრინავების ფრენისათვის.

ნ. ვ. პოდგორნი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში

ულან-ბატორი, 22 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ნ. შჩეტინინმა დარბაზობა გამართა მოძმე მონღოლეთში ნ. ვ. პოდგორნის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის გამო. დარბაზობაზე იყვნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი და სხვა ხელმძღვანელები.

დარბაზობაზე ნ. ვ. პოდგორნიმ და ი. ცედენბალმა სტუმარი წარმოთქვეს.

ულან-ბატორი, 22 მაისი. (საკდესი). ღღეს, ნაშუადღეს მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტები ესტუმრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის მის რეზიდენციაში.

ნ. ვ. პოდგორნიმ საზოგადოების ხელმძღვანელებსა და აქტივისტებს უთხრა, რომ საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა და მონღოლი ხალხების მეგობრობა მტკიცე და ურღვევია.

ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა დიდი მუშაობა, რომელსაც მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება ეწევა. რათა მონღოლ ხალხს გააცნოს საბჭოთა კავშირის ცხოვრება და საქმიანობა.

მოგვიანებით ნ. ვ. პოდგორნიმ, რომელსაც ახლდნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ლუვსანი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი, დაათვალიერა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ულან-ბატორი.

ულან-ბატორი, 23 მაისი. (საკდესი). ღღეს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის დასკვნითი საუბარი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ჟ. სამბუსთან და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ამბ. ი. ცედენბალთან.

მოსკოვში ჩამოვიდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოსკოვში ჩამოვიდნენ: ალჟირის სოციალისტური ავანგარდის პარტიის, არგენტინის კომუნისტური პარტიის, ბელგიის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბრაზილიის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის, გინეის სახალხო პროგრესული პარტიის, გვადელუპის კომუნისტური პარტიის, გვატემალის შრომის პარტიის, გერმანიის კომუნისტური პარტიის, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის, დანიის კომუნისტური პარტიის, ისრაელის კომუნისტური პარტიის, იორდანიის კომუნისტური პარტიის, ერაყის კომუნისტური პარტიის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის, იტალიის კომუნისტური პარტიის, კანადის კომუნისტური პარტიის, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის, კოლუმბიის კომუნისტური პარტიის, კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტიის, ლიბანის კომუნისტური პარტიის, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის, მექსიკის კომუნისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, ნიკარაგუას სოციალისტური პარტიის, პარაგვაის კომუნისტური პარტიის, პერუს კომუნისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის, პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტიის, სალვადორის კომუნისტური პარტიის, სირიის კომუნისტური პარტიის, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის, სუდანის კომუნისტური პარტიის, ურუგვაის კომუნისტური პარტიის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, ჩილეს კომუნისტური პარტიის, შვეიცარიის შრომის პარტიის, ეკვადორის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

ახალგაზრდა გამგებელნი

„ბდგილობრივი საბჭოების მუშაობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩასაბმელად“ — ამ საკითხს ყოველმხრივ იხილავდა 22 მაისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების პირველი გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატებმა განიხილეს მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გამოცდილება.

მომხსენებლებმა — კავშირის საბჭოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ჟ. ხ. პაპუტინმა და ეროვნებათა საბჭოს კომისიის წევრმა ბ. ნ. პასტუხოვმა, სიტყვით გამოსულებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ, ორენბურგის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნ. ბალანდინმა, აგრეთვე კომისიების წევრმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი საბჭოები დიდ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები ჩაებან სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, განუწყვეტლივ ზრუნავენ მათზე. მთელ თავიანთ საქმიანობაში ისინი ხელმძღვანელობენ სკკპ 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით საბჭოების მუშაობის საკითხებზე, აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ“.

ბევრ ადგილას ახალგაზრდა დეპუტატებთან, აგრეთვე საბჭოების საქმიანობაში ჩაბმულ ახალგაზრდობასთან მუშაობის სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს. მაგალითად, მარტო შარშან საქართველოს სს რესპუბლიკაში ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებში მონაწილეობდა თითქმის 20 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი. ახალგაზრდა დეპუტატები აქტიურად შრომობენ რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში. ისინი მონაწილეობენ ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომლებსაც საბჭოების სესიები და აღმასკომები იხილავენ.

სხდომაზე გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდის, განათლების, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საკითხებს დიდ-მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანოს საქმიანობაში.

კომისიებმა ურჩიეს ადგილობრივ საბჭოებს უფრო ფართოდ მიიზიდონ ახალგაზრდობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მონაწილეობისათვის, რეგულარულად გამოიტანონ სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების განსახილველად ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის, განათლების, პროფესიული მომზადების, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქეების ჩაბმას ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში. (საკვლევი).

ვეჯარდოთ მომავლის თაობა

საქართველოს ახალგაზრდა მასწავლებელთა საპედაგოგიური პრაქტიკული I კონფერენცია

◆

კომუნისტური რწმენის, მოქალაქეობრივი სიმწიფისა და მაღალი მორალური თვისებების აღზრდა მოსწავლეებში; სკოლისა და კომკავშირის მუშაობა მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის გაღვივებისა და მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისათვის; მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა; მასწავლებელი და სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები; სკოლა, ოჯახი, საზოგადოებრიობა და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზაცია; კომკავშირის კომიტეტი — სკოლის მოსწავლეთა კოლექტივის ცხოვრების ორგანიზატორი, ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობა მათი ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დაოსტატებისათვის, ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობა მათი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისა და აღზრდისათვის...

აი თემატიკა რესპუბლიკის ახალგაზრდა მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა, რომელიც 20-23 მაისს თბილისში მოაწყეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

ეს კონფერენცია პირველია, და მას ცხოველი ინტერესით მოეკიდა ჩვენი პედაგოგიური ახალგაზრდობა, და არა მარტო ახალგაზრდობა. აქ იყვნენ დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგებიც, სკოლების ხელმძღვანელებიც, კომკავშირული მუშაკებიც. კონფერენციის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მეგინეიერი მუშაკები. კონფერენციას ესწრებოდა რესპუბლიკის, ყველა რაიონისა და ქალაქის 300-მდე ახალგაზრდა მასწავლებელი.

კონფერენციისადმი ინტერესი ბუნებრივია — ვასწავლოთ ახალგაზრდა მასწავლებლებს ნორჩი თაობის აღზრდის ხელოვნება; მოვუსმინოთ ერთმანეთს და გავიზიაროთ ურთიერთის გამოცდილება; რას და როგორ გვირჩევენ უფროსი თაობის პედაგოგები; რას გვასწავლიან მეცნიერები... აი ამ ღონისძიების ძირითადი დედააზრი. მის დიდ მასშტაბურობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ რესპუბლიკის მასწავლებლებისა არმიის თითქმის ნახევარს ახალგაზრდობა წარმოადგენს. აქედან შვიდი ათასი კომკავშირელია!

ეს დიდი ძალაა. კომკავშირელი პედაგოგი! — ეს ხომ დასაყრდენია, განსაკუთრებით სოფლად, ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისა მათს დიდ და მრავალფეროვან მუშაობაში, ეს ხომ კომკავშირის დასაყრდენია სკოლაში! ეს კომკავშირელი პედაგოგები — პროპაგანდისტები არიან თუ აგიტატორები, კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები თუ სკოლებში უფროსი პიონერხელმძღვანელები, თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების წევრები ან ხელმძღვანელები თუ ყოველი კეთილი საქმის ინიციატორები, — ყველგან პარტიის საქმისათვის თავდადებას იჩენენ. და ვინ მოთვლის მათს მრავალფეროვან საქმიანობას, რომელსაც თავიანთ ძირითად სამუშაოსთან — პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწევიან.

კონფერენცია თემატიკის ცალკეულ საკითხებზე ისმენდა 95 მოხსენებას. ცალკეული თემის დამუშავებას ხელმძღვანელობდნენ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი ამხანაგები, პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

რესპუბლიკის ეს საგულისხმო კონფერენცია, რომელიც 20 მაისს შეუდგა მუშაობას, გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ლაღიძემ. მას მიესალმა უხუცესი პედაგოგი სოციალისტური შრომის გმირი ნ. ჯაფარიძე.

კონფერენციაზე პირველი მოხსენებით — საბჭოთა სკოლის ამოცანები და ახალგაზრდა მასწავლებლობა — გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი უ. ობოლაძე.

შემდეგ კონფერენცია გადავიდა სექციურ მუშაობაზე. კუშნერ მან თავის პლენარულ სხდომაზე შეაჯამა მუშაობის შედეგები.

კონფერენციის მონაწილეთ დიდი სარგებლობა მოუტანა „ღია კარების დღემ“, როცა ისინი დედაქალაქის სკოლებში დაესწრნენ კოლეგების გაკვეთილებს საკუთარ საგნებში.

მთელი კონფერენციის მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა იდეა — დარსეულად შევხვდეთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის დიად იუბილეს.

კონფერენციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პერიოდში, როდესაც ჩვენს სკოლებში მძლავრად ჩქეფს ნამდვილად დიდი ცხოვრება — მიმდინარეობს დასკვნითი გამმორებები და ახლოვდება დაწყებით, რვაწლიან, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში გადასაყვანი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები.

კონფერენცია გაამდიდრებს ახალგაზრდა პედაგოგთა გამოცდილებას; კონფერენციის შედეგები ძვირფასი თანამგზავრი და იარაღი იქნება მათს პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

□ □

სურათზე: ახალგაზრდა მასწავლებელთა კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — ჯ. ვალიშვილი (მცხეთა), რ. ხატიშვილი (გუდაუთა), რ. იოხელსონი (მახინჯაური), ზ. დათუშიძე (ბითურა), ც. ნოდარიშვილი (ონი), ა. ანთაძე (ლანჩხუთი), დ. კვალიაშვილი (გორი), თ. ზუმბაძე (ახალციხე), ა. ერაგია (თბილისი), ჯ. სესიტაშვილი (სიღნაღი), ლ. გელაშვილი (ქობულეთი).

ფოტო ბ. გოგოხიასი.

ჩვენი სოფლის მომავალი

□ **გორის რაიონის სოფლის მშენებელთა საქმეები მისაბაძია** □ **საკოლმეურნეოგბათაშორისო მეურნეობა — რენტაბელობის გზა!** □ **სოფელშიც ისე ცხოვრობენ, როგორც ქალაქში.** □ **ყველა სოფელს — ლამაზი მოედანი, ქუჩები!** □ **ნაჰარმაგევი — მშრომელთა დასვენების კერა!**

ქალაქის დონეზე

ჩვენი საკოლმეურნეოგბათაშორისო

Cოციალისტური სოფელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად ყოველდღიურად ვითარდება, შენდება და მშვენიერდება, რომ უფრო მოხერხებული, კომფორტული პირობები შეექმნათ მშრომელებს, რომ მალე გაუთანაბრდეს სოფელი ქალაქს, რომ სოფლად ადამიანები ისევე ცხოვრობდნენ, როგორც ქალაქად. მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება კი, როგორც ვიცით, უშრომლად, საერთო-სახალხო დოვლათის, სიუხვის შეუქმნელად წარმოუდგენელია. ეს ყოველივე გორის რაიონის მშრომელებმა კარგად იციან და ენერგიას არ იშურებენ, რომ ყოველწლიურად ამრავლონ სოფლის ხვავი და ბარაქა.

უკანასკნელ წლებში გორის რაიონის მშრომელები დიდი გადამეტებით ასრულებენ ხილის, შაქრის ჭარხლის, მეცხოველეობისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებს. მარტო ბოლო ორ წელიწადში გორელმა მშრომელებმა 54 ათას ტონაზე მეტი ხილი მისცეს სამშობლოს. მეხილეობაში გასული წლის მაჩვენებლების მიხედვით რაიონი დაჯილდოვდა, და ამ დღეებში გადმოგვეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ჩვენი მეხილეების შრომის ესოდენ დიდი შეფასება გვავალებს უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, რომ ახალ-ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა დიდი ოჯახის მიღწევებში გორის რაიონის მშრომელებსაც ყოველწლიურად დიდი წვლილი შეაქვთ. ჩვენი ეს წარმატებები საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგია. კოლმეურნეობა როგორც სოციალისტური მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმა სავსებით შეესაბამება სოფლის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების ამოცანებს, უზრუნველყოფს, რომ წარმოება მართონ თვით კოლმეურნეთა მასებმა საკოლმეურნეო დემოკრატიის საფუძველზე, საშუალებას ქმნის, რომ კოლმეურნეთა პირად ინტერესი სწორად ეხამებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს: ამიტომ ვამბობთ, რომ „კოლმეურნეობა კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის“.

როცა ამას ვამბობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ დღითიდღე უნდა უმჯობესდებოდეს კოლმეურნის შრომისა და ცხოვრების პირობები. ხალისიანი შრომის შემდეგ საჭიროა გონივრული დასვენება, კულტურული გართობა. შრომა და ცხოვრება ერთმანეთისაგან განუყრელია.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტში ვკითხულობთ: „კოლმეურნეობის გამგეობა და ყველა წევრი ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ: ...საწარმოო შენობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების, გზების, წყალსამაგალითოდ ამ მეტად შრომატევადი კულტურისაგან. მალე საკოლმეურნეობათაშორისო მეგვნახეობადანაც მეპაიე კოლმეურნეობები მოგებას მიიღებენ. ასევე ითქმის მეღორეობისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმებზე. ეს ფერმები სანიმუშოდ არის მოწყობილი და მალე მოგებას მისცემენ მეპაიე კოლმეურნეობებს.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა, რომელიც ტინისხიდში, მტკვრის ნაპირზე გაშენდა, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აღჭურვილი. პირუტყვის საკვების შემზადება, წყალი, კვება, სადგომების დასუფთავება მანქანებით ხდება. ეს ფერმა რესპუბლიკაში ერთ-ერთი სანიმუშოა. აქ მეცხოველეობის იაფ პროდუქტებს აწარმოებენ. ფერმაში საკმაოზე მეტი იყო თბილი წყალი. ჩვენ ამით დავნაკერეს დიდ და იქვე, ფერმის გვერდით 600 კვადრატულ მეტრზე მოვაწყეთ რკინისა და მინისაგან ნაგები სათბური. მიმდინარე წლის ზამთრის ბოლოს და ახლაც რაიონის საზკვების ობიექტებში საკმაოდ იყო და გვაქვს ამ სათბურში მოყვანილი პამიდორი და კიტრი.

სოფლად საწარმოო მნიშვნელობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობა რაიონში მთელი ძალით არის გაჩაღებული, საწარმოო მეურნეობათა მშენებლობისადმი ძირითადად ვიყენებთ მოუსავლიან და ჭაობიან ადგილებს. ქ. გორის ჩრდილოეთით, ნაჭარმაგევში ქვაღორღიანი და ჭაობიანი მიწები დიდი ხნის განძილზე უქმად იყო. როდესაც ბოსტნეულის სასათბურო მეურნეობისათვის ადგილის შერჩევაზე ვფიქრობდით, სწორედ ნაჭარმაგევის გამოუყენებელ მიწებზე შევჩერდით. ჭაობიანი ადგილები გავწმინდეთ და ტექნიკის გამოყენებით უზარმაზარი ორმო ამოვთხარეთ. აქ რამდენიმე ჰექტარზე წყალი გაშენდა, და შესანიშნავი ხელოვნური ტბა მოვაწყეთ. ტბის ირგვლივ პარკი გავაშენეთ, ნაპირზე კი საზაფხულო კაფე ავაგეთ. ტბაში ახლა უამრავი თევზია. ახალი თევზით საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებს ვამარაგებთ. გარდა ამისა, შევიძინეთ მოტორიანი და ნიჩბებიანი ნავები. ეს ადგილი რაიონისა და ქ. გორის მშრომელთა ერთ-ერთი შესანიშნავი დასვენების ადგილია.

ნაჭარმაგევში, ქვაღორღიან, გამოუყენებელ მიწაზე ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურო მეურნეობის მშენებლობა. მინითა და მოთუთიებული რკინით გადაიხურება 3.000 კვადრატული მეტრი სასათბურო მეურნეობა, მშენებლობა მილიონ ორასი ათასი მანეთი დაჯდება. ეს იქნება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი სასათბურო მეურნეობა, რომლის ერთ ჰექტარეზე მოვიყვანთ პამიდორს, კიტრსა და სხვა ბოსტნეულს. მეურნეობა ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდში აწარმოებს 500-600 ტონა ბოსტნეულს. მშენებლობის დამთავრების შემდეგ საშუალება გვექნება წლის ყველა დროს ქალაქებს თბილისს, გორსა და ჩვენი რაიონის სოფლებს საკმაო რაოდენობით მივაწოდოთ პამიდორი და სხვა ბოსტნეული.

სოფლად მშენებლობის ტემპებსა და სიდიდეზე როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ დიდ მშენებლობებს, რომლებსაც აწარმოებენ გორის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს და № 10 მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებლები. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებლებმა ათეულობით საწყობი, საძროხე, ბეტონის მოედანი და სახანძრო აუზი, ფარდული, სკოლა, საცხოვრებელი სახლი, საბავშვო ბაღი და ბაგა ააშენეს. მშენებლები წელს დამკვრელური ტექნიკით მუშაობენ ხის გადამმუშავებელი ქარხნის, მექანიზაციის ბაზის, ვარიანის მაცივრის, ფხვენისის, მეღვინეობის, ახალუბნის, ქვეშის, მეჯვრისხევისა და ტირძნისის ხილის დამზადების პუნქტების, ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობის წყალსადენის, 38 და 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლების, ხიდისთავის პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის, ქიწნისის სკოლის, გორის სასტუმროს, ხელოვნების კლუბისა და სხვა მშენებლობებზე.

სასახელოდ შრომობენ აგრეთვე გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს მშენებლები. რაიონის ყველა სოფელში ნახავთ მათ მიერ აგებულ საწარმოო თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობებს. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯაშე-სანაშენე ფერმა, საკოლმეურნეობათაშორისო მეღორეობის პუნქტი, საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერირებული წყალსადენი და სხვ. მშენებლები ახლა საკოლმეურნეობათაშორისო მებოსტნეობის მეურნეობის სათბურების მშენებლობაზე წარმატებით შრომობენ.

როგორც № 10 მოძრავი მექანიზებული კოლონის, ისე საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს მშენებლები ყოველთვის დროულად და მაღალხარისხოვნად ასრულებენ დავალებებს.

გაივლის არც თუ ისე დიდი დრო, და რაიონის ყველა სოფელს ექნება სპორტული ბაზები, კარგი სკოლები, კლუბები, ჯანმრთელობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ფართო ქსელი. ტყვიავი, მეჯვრისხევი, კარალეთი, ვარიანი და სხვა სოფლები ახლა ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო დაბებია. ჩვენი მიზანია უახლოეს მომავალში ყველა სოფელში იყოს იმის საშუალება, რომ მშრომელთა ცხოვრების პირობები არ განსხვავდებოდეს ქალაქის მშრომელთა ცხოვრების პირობებისაგან.

მხოლოდ ჩვენი მეცადინეობა, მშენებელთა საქმიანობა როდია მთავარი. მთავარია თვით მშრომელები იყონ თავიანთი სოფლის პატრიოტები. მათ უნდა უყვარდეთ მშობლიური სოფელი, პატივს სცემდნენ სახელოვან წინაპართა ხსოვნას, მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ ისე, როგორც ჩვენს ეპოქას შეეფერება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, სპეციალისტების, სოფლის ინტელიგენციის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საპატიო მოვალეობაა ახალგაზრდების ჩაუნერგონ სიყვარული შრომისადმი, თავიანთი სოფლისადმი.

ახლა სიტყვა თქვენზეა, სოფლის ახალგაზრდებო! გიყვარდეთ თქვენი სოფელი, იშრომეთ და იცხოვრეთ კომუნისტურად!

რ. ბზიშვილი,

საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნინათ გორის რაიონში ზაფხულობითაც კი შეჰქონდათ ბოსტნეული. უკანასკნელ წლებში მებოსტნეობას რაიონში დიდი ყურადღება მიაქციეს და საკმაო წარმატებასაც აღწევენ. რაიონის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ახალი კიტრი და პამიდორი არა მარტო ზაფხულობით, არამედ ზამთრობითაც აწარმოონ. საამისოდ ნაჭარმაგევში სამ ჰექტარზე დაიწყო მებოსტნეობის საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურო მეურნეობის სასათბურო მეურნეობის მშენებლობა. მშენებლობა ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ჯიდრე ნაჭარმაგევის მებოსტნეობის სასათბურო მეურნეობის მშენებლობა დამთავრდებოდეს, მანამდე ტინისხიდში, მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის ცხელი წყლის ბაზაზე შარშან 600 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოაწყეს სათბური. ამ სათბურში მოყვანილი კიტრი და პამიდორი რაიონის საზკვების ბევრ ობიექტში კარგა ხანია უკვე იყიდება. სათბურში ენერგიულად შრომობენ აგრონომი ოთარ ქონიაშვილი და მუშა მერრან ყაზარაშვილი.

• • •

სურათზე: ო. ქონიაშვილი და მ. ყაზარაშვილი ამოწმებენ მოკრეფილ კიტრსა და პამიდორს.



გორის რაიონის მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმაში, რომელიც სოფელ ტინისხიდში, მტკვრის ნაპირას აშენდა, ხელით შრომა გამორიცხულია. აქ მეცხოველეობის იაფ და მაღალხარისხოვან პროდუქტებს აწარმოებენ.

სურათზე: მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის ხედი.

მუშაობლები

გორის რაიონში სულ უფრო და უფრო მატულობს მშენებლობათა ხარაჩოები. ზოგი ობიექტი აშენდა, ზოგის მშენებლობა ახლა მთავრდება, ზოგიც შენდება. უკანასკნელ წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი სკოლა, კულტურის სახლი, კლუბი, საავადმყოფო და სხვადასხვა დანიშნულების შენობები, რომლებიც მშრომელთა სამსახურში ჩადგნენ და ამასთან კიდევ უფრო მეტ შრომა და ლაზთის მატებენ რაიონის სოფლებს.

დიდი ხნის ოცნება იყო, რომ ხურვალეთის მშრომელებს ჰქონოდათ სასმელი წყალი. მეურნეობის (დირექტორი ი. აბაიძე) დახმარებით და აქტიური მონაწილეობით ახლა აქ უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა წყალსადენი. აქვე აშენებული ფარდული სამიცი მანქანისათვის, 300 ტონის ტევადობის — მინერალური სასუქების შესანახი საწყობი.

მშენებლობები ბევრია გორის რაიონში. მთლიან ციფრს თუ დავასახელებთ, უკანასკნელ წლებში აგებული შენობების რიცხვი 65-ს აჭარბებს, უფრო მეტია მშენებარე ობიექტები.

ნაჭარმაგევის ხელოვნური ტბის გვერდით გრანდიოზული მშენებლობა! ტბისა და მოსფალტებული გზის პირას შენდება ნაჭარმაგევის საკოლმეურნეობათაშორისო მებოსტნეობის სასათბურო მეურნეობა. მინისა და რკინის კედლებში ერთ ჰექტარზე მოექცევა სამი ჰექტარი მიწა.

მშენებლობაზე დაიხარჯება მილიონ ორასი ათასი მანეთი. შემოდგომა-ზამთრობითა და გაზაფხულობით სათბურებში მოიყვანენ 500-600 ტონა კიტრს, პამიდორს და სხვა ბოსტნეულს.

უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ასახელებს მშენებლობის მოწინავეებს. ესენი არიან ოსტატი ა. ხმიადაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი მ. ბლიაძე, მემონტაჟეები ჯ. მაზარაშვილი (მერგოლური), ს. ზინენკო, ა. გაბრიელოვი, ხ. ბუთხუზი (მერგოლური), ვ. ლომიძე, ვ. მშვიდობაძე, მებეტონეები ა. ცეცხლაძე, ა. თუმანოვი, შ. ყაყიტაშვილი, შემდუღებელი ე. გუბიევი და სხვები. ისინი ყოველთვის დღიურ დავალებას ასორმოცდაათი-ოცდასი პროცენტით ასრულებენ.

სასოფლო მშენებლობებზე სასახელოდ შრომობენ კალატოზები ვ. ქარელიძე, ვ. ჯინისიანი, გ. გაზაშვილი, გ. ყაჩლაევი, დურგლები ქ. ქოქოევი, ვ. გამსახურდია, ნ. თაყაძე, მ. გოგატიშვილი, კალატოზებს და დურგლებს მხარს უბამენ მლესავები გ. თანდიაშვილი, ო. ზერეკიძე, ი. აბოვიანი, გ. ქერდიყოშვილი.

ზემოთ ჩამოთვლილი ოსტატები ახლა წარმატებით მუშაობენ ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიც არის ხის გადამმუშავებელი ქარხანა, სკოლა ქიწნისის საბჭოთა მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, მაცივრის მშენებლობა ვარიანში.

მოძრავი მექანიზებული კოლონა № 10-ის კოლექტივი, რომელიც ძირითადად მშენებლობას გორის რაიონში ეწევა, მთელი ენერგიით ცდილობს და იბრძვის, რომ მისი ნახელავით კმაყოფილი იყვნენ მშრომელები, რომ კიდევ უფრო დამშვენდეს და გალამაზდეს გორის რაიონის სოფლები.

გ. გერგაული,

მოძრავი მექანიზებული კოლონა № 10-ის უფროსი.

მადლობა!

სოფელ ფლავში 580 საკოლმეურნეო კომლია. უკანასკნელ წლებში ოთხასამდე კოლმეურნემ ახალი ბინა აიშენა. კარმიდამო გაალამაზა. ყოველწლიურად მატულობს სოფლის საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობანი. აშენდა 450-ადგილიანი კლუბი, სამუალო სკოლა.

გულს ახარებს თანამედროვე სტილით ნაგები მაღაზია, რომელიც მალე გადაიქცევა საქაქსპლოატაციოდ, მიმდინარეობს ფოსტისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ბავშვიონის მშენებლობა, რაც იენსების ბოლოს დამთავრდება. ასევე სწრაფი ტემპით კეთდება საბავშვო ბაგა-ბაღის შენობების რეკონსტრუქცია ფლავში, ხოლო ფლავისმანში პატარებს საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობა ეშენებათ. ფლავში ორ თვეში ააშენებენ აგრეთვე ჰიგიენის სახლს. მალე დაიწყება პოლიკლინიკის მშენებლობა. ჩქარი ტემპით შენდება და ლამაზი არქიტექტურული სტილით გაფორმდება სასადილო-მარანი.

ეს ყველაფერი კოლმეურნეობის სახსრებით და ჩვენი ძალებით კეთდება. ამიტომ უფლება არა გვაქვს მადლობა არ ვუთხრათ ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობას.

ჩვენი ბეჯითობით მხარს დავუმშვენებთ ჭარმაგ კოლმეურნეებს, ვიშრომებთ ისე, რომ მნახველი კმაყოფილი იყოს.

რ. ეცადაშვილი,

ფლავის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

გაზეთების ფურცლებზე

როგორ სწავლობს ჩვენი სტუდენტი?

ძირითადად სწორედ იმ საკითხის გარკვევას, თუ როგორ სწავლობს ჩვენი სტუდენტი, როგორ ემზადება იგი როგორც მომავალი სპეციალისტი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, — მიეძღვნა ამას წინათ სამახსოვრო შეხვედრა საქართველოს გ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

შეხვედრა რამდენადმე უჩვეულო იყო — მას ესწრებოდნენ ჭიათურის, ზესტაფონის, საჩხერის, ორჯონიკიძისა და თერჯოლის რაიონების წარმომადგენლები — პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, საბჭოთა, კომკავშირული და სასაღსო განათლების ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ უკეთ გავუმჯობესოთ ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის ფორმები და მეთოდები, როგორ, რა სახით გავაღრმაოთ ურთიერთშემოქმედებითი კავშირი უმაღლეს სასწავლებელსა და იმ რაიონებს შორის, რომელთა წარმოგზავნილნი დღეს ინსტიტუტის აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში ეუფლებიან მეცნიერებას, იძენენ სპეციალობას.

შეხვედრის მონაწილენი დიდი ინტერესით და პასუხისმგებლობის გრძნობით ისმენდნენ ინსტიტუტის ფაკულტეტთა დეკანების, პროფესორ-მასწავლებლების გამოსვლებს, ერთგვარ ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ დასახელებული რაიონების წარმოგზავნილი ახალგაზრდები. მრავალ სასიამოვნო მაგალითთან ერთად მოხსენიებული იყო ნაკლოვანებანი როგორც სტუდენტი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის, ისე თვით სწავლების ზოგიერთი რგოლის მუშაობაში.

რაიონების წარმომადგენლებმა, რომლებიც შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ, აღუთქვეს ინსტიტუტის კოლექტივს, რომ მხარში ამოუდგებიან სტუდენტთა აღზრდის საქმეში, რომ სწავლის მანძილზე ახალგაზრდების დროებითი მოწყვეტა მშობლიური ადგილებიდან ხელს არ შეუშლის რაიონების საზოგადოებრიობის ზრუნვასა და პასუხისმგებლობას თავისი სტუდენტი ახალგაზრდებისათვის.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ეს მშვენიერი წამოწყება, ეს შეხვედრა შეაჯამა ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პროფესორმა ი. ბუაჩიძემ. მან აღნიშნა, რომ ხანგამომავლით მოეწყობა ასეთი შეხვედრები რესპუბლიკის სხვა რაიონების წარმომადგენლებთანაც.

შეხვედრის მასალებს ორი შიდა გვერდი დაუთმო ინსტიტუტის „მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „ლენინელმა“ თავის 22 მაისის ნომერში.

საქართველოს სოვეტა

ტელეტაიპის ლენტიდან

პარიზის თათბირზე

პარიზი, 22 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის შესახებ პარიზის ოთხმხრივი თათბირის დღეგანდელ, მეთვრამეტე სხდომაზე დისკუსიის მთავარი თემა იყო წინადადებანი სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის გადაჭრის შესახებ, რომლებიც ათ პუნქტად დაფორმულა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა, აგრეთვე რვა პუნქტისაგან შემდგარი გეგმა, რომელიც ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა.

პირველი გამოვიდა საიგონის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ფამ დანგ ლამი. მან განაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წინადადებანი შეიცავენ როგორც მიუღებელ, მისი აზრით, დებულებებს, ისე აგრეთვე დებულებებს, რომელთა გარშემო საიგონი „თანხმაა“ აწარმოოს მოლაპარაკება.

ამერიკის წარმომადგენელი პენრი კიბოტ ლოჯი დასჯერდა პრეზიდენტ რ. ნიქსონის 14 მაისის სიტყვის ძირითად დებულებათა განმეორებას. „ეგი კვლავ ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები ესწრაფვიან სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებას „მოლაპარაკების გზით“.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის მეთაურმა ჩან ბიუ კიემმა დაწვრილებით ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის 14 მაისის განცხადებებზე ვიეტნამის შესახებ. შეეხო რა „მშვიდობის პროგრამას“ ვიეტნამისათვის, აღნიშნა მან, პრეზიდენტ ნიქსონს სიტყვა არ დაუძრავს ვიეტნამელი ხალხის ძირეული ეროვნული უფლებების შესახებ, გაიმეორა კარგად ცნობილი მოთხოვნა ჯარების „ურთიერთ გაყვანის“ შესახებ ახალი დაფორმულებით: „მთელი იმ ჯარების გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამს არ ეკუთვნის“.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა აგრეთვე რომ, როცა „თავისუფალ არჩევნებზე“ ლაპარაკობდა, პრეზიდენტმა ნიქსონმა დუმილით აუარა გვერდი სამხრეთ ვიეტნამში კოალიციური მთავრობის შექმნის პრობლემას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა სუან თხიუმ თავის მხრივ აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ „ამერიკის ჯარების ისე როგორც ამერიკის ბანაკის სხვა უცხო სახელმწიფოთა ჯარების მთლიანად და რაიმე პირობების დაუთქმელად გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან, ძირითადი საკითხია“.

ი. კადარი: გისურვებთ ახალ მიღწევებს

ბუდაპეშტი, 22 მაისი. (საკდესი). საბჭოთა პავილიონი ბუდაპეშტის საერთაშორისო ბაზრობაზე დღეს დაათვალიერეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პალ ლაშონციმ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რეჟე ნიერშმა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა.

პავილიონის ექსპოზიციების დათვალიერების შემდეგ ი. კადარმა საბჭოთა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

სახელდახელო დათვალიერების შემდეგაც დავრწმუნდით, რომ საბჭოთა მეგობრებმა აქ ბევრი სხვადასხვაგვარი ახალი და კარგი ნაწარმი ჩამოიტანეს. ექსპონატები მოწმობენ წარმოების მაღალ, მსოფლიო დონეს, ამიტომ ისინი სხვებმაც უნდა ნახონ. ექსპონატების დიდი ნაწილი საინტერესოა უნგრეთის სახალხო მეურნეობისათვის.

ვუსურვებ ბაზრობის საბჭოთა მონაწილეებს წარმატებას და ვუსურვებ ახალ მიღწევებს.

რუმინეთის კომპარტიის ცკ-ის პლენუმი

ბუქარესტი, 22 მაისი. (საკდესი). როგორც აჯერპრესის სააგენტო იუწყება, 21 მაისს გაიმართა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 23-ე სპეციალურ სესიაზე მიღებული დოკუმენტები და დაავალა მინისტრთა საბჭოს შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება.

განიხილა რა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მომზადებასა და მუშაობაში რუმინეთის კომპარტიის მონაწილეობის საკითხი პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ამ თათბირზე გაგზავნოს რუმინეთის კომპარტიის დელეგაცია რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით.

მიღებულია გადაწყვეტილება 1969 წლის 4 აგვისტოს მოიწვიონ რუმინეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა.

უ. კენკონენის გამოსვლა

ჰელსინკი, 23 მაისი. (საკდესი). ზუშინ ფინეთის ტელევიზიით გამოვიდა ფინეთის პრეზიდენტი ურხო კეკონენი. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ლენინგრადში ა. ნ. კოსიგინთან შეხვედრისას მოეწყო აზრთა, მნიშვნელოვანი და სასარგებლო გაზიარება ყველა აქტუალურ საკითხზე.

ფინელ ჟურნალისტთა კითხვებზე, რომლებიც გამოსვლას ესწრებოდნენ უ. კეკონენმა უპასუხა, რომ ფინეთი განაგრძობს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, რომელიც უწინარეს ყოვლისა მოასწავებს კარგი ურთიერთობის დაცვას და ვაჭრობის ყოველი დონისძიებით განვითარებას საბჭოთა კავშირთან.

კითხვაზე, თუ რა გზით შეიძლება ჩრდილოეთ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა, უ. კეკონენმა უპასუხა, რომ ეს პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთლიანად ევროპის უშიშროების განმტკიცებასთან.

ნინადადება თათბირის დაწყების შესახებ

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო მდინარეებზე ნაოსნობის შერეული კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარემ ა. წ. 23 მაისს კომისიის ჩინეთის ნაწილის თავმჯდომარეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც წინადადებით მიმართავს დაიწყონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო მდინარეებზე ნაოსნობის შერეული კომისიის თათბირი ა. წ. 18 ივნისს ქალაქ ხაბაროვსკში. ქვემოთ მოგვყავს დეპეშის სრული ტექსტი:

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო მდინარეებზე ნაოსნობის შერეული კომისიის ჩინეთის ნაწილის თავმჯდომარეს ჩენ ფა-პინს.

თქვენი ა. წ. 11 მაისის დეპეშა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო მდინარეებზე ნაოსნობის შერეული კომისიის მე-15 მორიგი თათბირის მოწვევის შესახებ მიგიღეთ. საბჭოთა მხარე ცნობად იღებს, რომ ჩინეთის მხარე თანახმაა გამოგზავნოს თავისი დელეგაცია თათბირზე ა. წ. ივნისის მეორე დეკადაში, და თავის მხრივ შემოაქვს წინადადება, რომ თათბირი დაიწყოს 18 ივნისს ქალაქ ხაბაროვსკში. დელეგაციის შემადგენლობა და საბჭოთა სასაზღვრო პუნქტზე მისი მოსვლის დრო გთხოვთ გვაცნობოთ დროზე.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო მდინარეებზე ნაოსნობის შერეული კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარე

ა. ზმირნოვი.

1969 წლის 23 მაისი.

(საკდესი).

სოციალისტურ ქვეყნებში

დიდი გელადისადმი მიძღვნილი

სოფია, 3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულობასთან დაკავშირებით ბულგარეთის გამომცემლობებში გამოვა 150 დასახელების წიგნი. აქედან 26 ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია, დანარჩენი წიგნები ლენინსა და ლენინიზმზეა. საიუბილეო გამოცემათა რიცხვში შედის აგრეთვე რევოლუციის დიდი ბელადისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა მოთხრობებისა და ლექსების კრებულები და სიმღერების კრებულები.

მთელი რიგი საიუბილეო გამოცემები უკვე დაიბეჭდა. მათ შორისაა წიგნები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი“, „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და ჩვენი თანამედროვეობა“, „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, „ოქტომბრის სულისჩამდგმელი და ბელადი“ და სხვ.

„მეგობგროგის“ იუბილე

პრაღა. ნავთობსადენ „მეგობროგის“ ჩეხოსლოვაკიის უბნის ცენტრალური სადისპეტჩერო სადგურის მუშაკებმა აღნიშნეს თავისებური იუბილე — სადგურის საკონტროლო ხელსაწყოებში გაიარა მეორმოცდაათმილიონე ტონა ნავთობმა.

სსრ კავშირიდან „შავი ოქროს“ მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიის განვითარებადი ქიმიური მრეწველობისათვის. რესპუბლიკის საწარმოებმა შარშან მიიღეს 9 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი. ერთ-ერთი მისი ძირითადი მომხმარებელია სლოვაკიის ქიმიის პირმშო კომბინატი „სლოვნაფტი“.

ახალი საამქრო

ბუდაპეშტი. ჩეპელის მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ კომბინატში ამუშავდა ფურანელ ლითონების ახალი სამსხმელო-საწნეხი საამქრო. იგი აღჭურვილია ავტომატური მოწყობილობით და ყოველწლიურად ორმოცი ათას ტონა სპილენძს გადაამუშავებს. (საკდესი).

გუქარესტელთა წარმატებანი

ბუქარესტი. ბუქარესტელმა მშრომელებმა ფაშიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლების 25 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. დედაქალაქის მრეწველობამ ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა პირველი ოთხი თვის გეგმა. შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე მიღებულმა ზეგეგმითი პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 150 მილიონი ლეი. ქვეყანამ დამატებით მიიღო 693 ტონა მოწყობილობა შეტალურგიული მრეწველობისათვის, 10.000-ზე მეტი ავტომობილის სბურავი 31.000 კვადრატული მეტრი შალის ქსოვილი და ბევრი სხვა პროდუქცია.

პლზენი, რომელიც სიდიდით მეხუთე ქალაქია ჩეხოსლოვაკიაში, თანდათანობით აფართოებს თავის საზღვრებს. მარტო 1970 წელს ქალაქის სამხრეთ რაიონში ბორუში აშენდება 2700 საცხოვრებელი ბინა, რამდენიმე მაღაზია, სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები.

სურათზე: საცხოვრებელი სახლები პლზენის ახალ რაიონში.

ფოტო ჩტკ-საკდესისა.

ინაადგილი ეროვნული „აპოლონიდ“

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საკდესი). წარმატებით გრძელდება კოსმოსური სომალდის „აპოლონ-10“-ის ფრენა: 22 მაისს ღამით განხორციელდა პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ექსპერიმენტი: მთვარის კაბინის ავტონომიური ფრენა, რომელიც მთვარეს მიუახლოვდა 15 კილომეტრზე, შემდეგ კი შეხვდა და შეუერთდა ბრბოსმალდის ძირითად ბლოკს.

22 მაისს დაახლოებით 18 საათზე მოსკოვის დროით კოსმონავტები თომას სტაფორდი და იუჯინ სერნანი „აპოლონ-10“-ის ეკიპაჟის ნაკვეთურიდან გადავიდნენ მთვარის კაბინაში, სადაც დაიწყეს მომზადება ძირითადი ბლოკისაგან მთვარის კაბინის მოცილებისა და დამოუკიდებელ მთვარისირგვლივ ორბიტაზე მისი გადასვლისათვის.

ფრენის პროგრამის შესაბამისად 22 საათსა და 10 წუთზე მთვარის კაბინა ჩამოშორდა ხომალდის ძირითად ბლოკს, რომელშიც დარჩა კოსმონავტი ჯონ იანგი. კოსმონავტებმა სტაფორდმა და სერნანმა, რომლებიც მთვარის კაბინაში იყვნენ, ჩართეს კაბინის ძრავა. ამ მანევრის შედეგად იგი გადავიდა ელიფსურ ორბიტაზე, რომლითაც მთვარეს მიუახლოვდა პერისელენით დაახლოებით 15 კილომეტრზე.

ჰიუსტონის კოსმოსური ცენტრიდან მიღებული ცნობებით, ფრენის ყველა ეტაპი ზუსტად პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ

ძრავების ჩართვის საშუალებით მთვარესთან ორგზის დაახლოების შემდეგ კოსმონავტები აწარმოებდნენ მანევრირებას ორბიტაზე, რათა უზრუნველყონ ეკიპაჟის ნაკვეთურთან შეხვედრა და შეპირაპირება. დღეს, 23 მაისს, 2 საათსა და 37 წუთზე კოსმონავტებმა დასაჯდომ საფეხურს მოაცილეს მთვარის ნაკვეთურის ასაფრენი საფეხური, რომელზეც მათი კაბინა არის. ამ დროს ასაფრენი საფეხური უეცრად დიდი სიჩქარით დატრიალდა გრძივი ღერძის გარშემო. საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, კოსმონავტ სერნანს მოეჩვენა კიდეც, რომ ასაფრენი საფეხური მთვარეზე „ეცემოდა“.

ამ პასუხსაგებ მომენტში კოსმონავტმა სტაფორდმა, რომელმაც იკისრა მართვა, სტაბილიზაცია უყო ასაფრენ საფეხურს. მისი დატრიალების მიზეზი ის იყო, რომ ორიენტაციის ავტომატურ სისტემაში ტუმბლერს სწორი მდგომარეობა არ ეკავა.

6 საათსა და 11 წუთზე მოსკოვის დროით ასაფრენი საფეხურის მანევრირება დამთავრდა წარმატებით შეპირაპირებით. კოსმონავტები სტაფორდი და სერნანი შიდა საძრომით დაბრუნდნენ იკეანის ნაკვეთურში, რომ შემდეგ ასაფრენი საფეხური, რომელიც საჭირო აღარ იყო, მოაცილეს ხომალდს.

კოსმონავტები კიდევ ერთ დღე-ღამეს გაატარებენ მთვარისირგვლივ ორბიტაზე სანაკიკაციო გაანგარიშებათა საბოლოო დაზუსტებისათვის. 24 მაისს დილით კოსმონავტები ჩართავენ ხომალდის სამარშო ძრავას და გამოვლენ დედამიწაზე დაბრუნების ტრასაზე.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენლის ცნობით, კოსმონავტებმა წარმატებით შეასრულეს ფრენის წინ დასახული ძირითადი ამოცანები.

საკვალიფიკაციო სტატისტიკა

ლონდონი, 23 მაისი. (საკდესი). **რეგისტრირებულ უმუშევართა საერთო რიცხვი დიდ ბრიტანეთში მაისში შეადგენდა 523.290 კაცს ანუ მუშახელის 2,3 პროცენტს.** ამას იუწყება დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების საკითხთა სამინისტრო. ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც უკვე 20 წელიწადზე მეტია გამეფებულია მასობრივი უმუშევრობა, უმუშევართა რიცხვი ამავე პერიოდში შეადგენდა 36.691 კაცს ანუ მუშახელის 7,1 პროცენტს.

უმუშევრობის ზრდასთან ერთად იზრდება ფასები და სიძვირე. 1962 წლიდან საცალო ფასების ინდექსი გადიდდა 31,7 პუნქტით.

ეს ეკონომიური არევ-დარეულობა შედეგია ლეიბორისტული მთავრობის წინასწარ-განზრახული პოლიტიკისა, რომელსაც არ სურს დაადგეს ეკონომიკის გაფაროოების გზას,

ფართოვდება საპროტესტო კამპანია

ნიუ-იორკი, 23 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ნ. პახომოვი იუწყება: რესპუბლიკელი სენატორი ჩარლზ გუდელი (ნიუ-იორკის შტატი) ჩაება აქტიურ საპროტესტო კამპანიაში იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის მთავრობამ გადაწყვიტა შექმნას ამერიკის შეერთებულ შტატებში რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა. გამოვიდა რა გუშინ ნიუ-იორკში პრეს-კონფერენციაზე, სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის შექმნა გაუმართლებელია ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. ასეთი ნაბიჯი, განაცხადა მან, იქნებოდა სახსრების ამაოდ ხარჯვა და „შეცდომა, რომელიც მეტად ძვირად დაჯდებოდა“, რადგან ქვეყანას სჭირდება ასიგნებანი მთელ რიგ უმწვავეს სოციალურ პრობლემათა გადაჭრისათვის. ჩვენი ქალაქები დაცემის გზაზეა, მილიონობით ადამიანი ძლივს დგას ფეხზე შიმშილისგან, დუმილით აუარა გვერდი სამხრეთ ვიეტნამში კოალიციური მთავრობის შექმნის პრობლემას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა სუან თხიუმ თავის მხრივ აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ „ამერიკის ჯარების ისე როგორც ამერიკის ბანაკის სხვა უცხო სახელმწიფოთა ჯარების მთლიანად და რაიმე პირობების დაუთქმელად გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან, ძირითადი საკითხია“.

ბოლოდ

ფაქტები

სომალის ახალი მთავრობა

მოგადიშო, 23 მაისი. (საკდესი). აქ გამოცხადდა სომალის რესპუბლიკის ახალი კაბინეტის შემადგენლობა. პრემიერ-მინისტრი გახდა **მუჰამედ ჰაჯი იბრაიმიმ ეგალი.** მანვე დაიტოვა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. სულ კაბინეტში 19 მინისტრია.

კვლავ პროვოკაცია

ფხენიანი, 23 მაისი. (საკდესი). შეერთებული შტატები განაგრძობენ პროვოკაციულ მოქმედებას კორეის სახალხო - დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იტყობინება, ამერიკის ჯარებმა უხეშად დაარღვიეს დაზავების შეთანხმება კორეაში, და დღეს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას სოფელ დანვონის რაიონში და დიჩონის ხაზზე.

დელეგაციის შემადგენლობა დამტკიცებულია

დასავლეთ ბერლინი, 23 მაისი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ დანიშნა თავისი დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირში. როგორც გაზეთი „დი ვარჰაიტი“ იუწყება, დელეგაციას სათავეში ჩაუდგება პარტიის თავმჯდომარე გერჰარდ დენელეუსი. მის შემადგენლობაში იქნებიან აგრეთვე პარტიის გამგეობის სამდივნოს წევრები ბრუნო კუსტერი და ემილ რედმანი.

სტიქიური უბედურება

დელი, 22 მაისი. (საკდესი). 270 კაცი დაიღუპა ანდხრა პრადეშის შტატის სანაპირო რაიონებში წყალდიდობის შედეგად, რომელიც გამოწვეულია ხუთი დღის კოკისპირული წვიმებით.

წინასწარი გამოანგარიშებით, დაიღუპა 200.000-მდე ტონა თითქმის დამწიფებული ბრინჯი, დიდძალი შაქრის ლერწამი და ბამბა. ოფიციალური მონაცემებით, შტატის სოფლის მეურნეობისადმი მიყენებული ზარალი შეფასებულია 220 მილიონ რუპიად.

არაფერი იცით სანაპირო სოფლების 5.000 მცხოვრებზე, რომლებსაც გიგანტური ტალღები დაატყდათ თავს.

ჩინეთის ამბები

საკდესი იტყობინება

პეკინი სპორტის სასახლეში, რომელიც 40 ათასამდე კაცს იტევს, ორ კვირაზე მეტ ხანს მიმდინარეობდა სხვადასხვა გვარეობის ჯარების წარმომადგენელთა თათბირები. ჩინეთის პრესაში არ გაშუქებულა, თუ რა საკითხები განიხილეს ამ თათბირებზე. მაგრამ გაზეთებმა და, რადიომ დიდი ყურადღება მიაქცია ამ ფაქტს. ეს ფაქტი, რომ „დიდი მესაზე“ „ჩინეთის კომპარტიის მე-9 ყრილობის“ შემდეგ პირველად გამოვიდა საჯაროდ სამხედროთა შორის, უეჭველად ხაზს უსვამს, თუ რა გადამწყვეტ როლს ასრულებს არმია პეკინის ყრილობის შემდგომი პოლიტიკის განხორციელებაში.

სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, სოფლის კომუნებსა და ტრანსპორტში ავლავ არიან არმიის ქვეგანყოფები. ჩინეთის პრესა „ყოველდღიურად იუწყება. თუ როგორ აწყობენ და მეთაურობენ სამხედროები ეგრეთწოდებულ „გარდაქმნა — ბრძოლა — კრიტიკას“. მაოისტთა ენაზე ეს ნიშნავს ყველა სხვაგვარად მოაზროვნეთა წმენდასა და დასჯას.

ამას წინათ გამოსულ ჟურნალ „ხუნცის“ ერთ-ერთ სტატიაში წაკითხულა-კრულვით იხსენიებენ ამათ, ვინც „მიუხედავად არაერთგზის ბრძანებისა და მითითებისა“ ყრილობის დებულებათა შესრულების შესახებ, ჯერ კიდევ „მოქმედებს საკუთარი შეხედულებით“. ეს სტატია, სხვა მასალები, რომლებიც „ერთობის ყრილობის“ შემდეგ გამოქვეყნდა და რომლებშიც კვლავ წამოყენებულია „შეკავშირების მიღწევის მოთხოვნა“, ცხადყოფენ, რომ ახლანდელ პეკინელ ხელმძღვანელებს არა აქვთ ადგილებზე მტკიცე დასაყრდენი.

სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, სოფლის კომუნებსა და ტრანსპორტში ავლავ არიან არმიის ქვეგანყოფები. ჩინეთის პრესა „ყოველდღიურად იუწყება. თუ როგორ აწყობენ და მეთაურობენ სამხედროები ეგრეთწოდებულ „გარდაქმნა — ბრძოლა — კრიტიკას“. მაოისტთა ენაზე ეს ნიშნავს ყველა ამბავად „ბრძოლა ხელჩართულ შეტაკებად იქცევა“.

უცხოელი კორესპონდენტები პეკინიდან იუწყებიან, რომ ქალაქში გაჩნდა ხელით ნაწერი პლაკატები. ხელისუფალთა ბრძანებით მათ სასწრაფოდ გლეჯენ კედლებიდან. ერთ-ერთ ასეთ ფურცელზე „პარაკაი იყო „ჯარისკაცებთან შეტაკებაზე“, რომლებმაც ჩაახშეს მასები“. ტექსტს ასეთი ხელმოწერა ჰქონდა: „პეკინის რკინიგზათა სამმართველოს მუშები“. დაახლოებით ერთ საათს იყო ვამოკრული კედელზე „სიჩუანცელია მმართვა“, რომელიც მოუწოდებს სიჩუანის პროვინციაში დაამყარონ წესრიგი და ბოლო მოეღონ სამხედროთა თარეშს. ზოგიერთი პლაკატი ავტორები მოითხოვენ „დაგვიანებული ხელფასის გაცემას“, უჩივიან, რომ საწარმოებში ყაზარმული წესებია შემოღებული.

მაოისტურმა ყრილობამ დაამკვიდრა და განამტკიცა მუხრუჭების მოჭრის პოლიტიკა. ამასთან მასზე არავითარი ეკონომიური პროგრამა არ წამოუყენებია.

ჩინეთში საერთოდ არ იბეჭდება არავითარი კონკრეტული ციფრები, რომლებითაც შეგვეძლოს ვიმსჯელოთ ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნამდვილ მდგომარეობაზე. საზღვარგარეთის პრესა ამას უკავშირებს „კულტურული რევოლუციის“ დამღუბველ შედეგებს, რომლის დროსაც სამრეწველო წარმოება, როგორც მაგალითად, ინგლისის ჟურნალი „ეკონომისტი“ აღნიშნავს, 10-20 პროცენტით დაეცა. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე, მიუხედავად ხელსაყრელი ამინდის პირობებისა, მარცვლის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე ჯერ კიდევ 1957 წლის დონეზე დაბალია. პრემიებისა და მატერიალური წახალისების სხვა სტიმულების გაუქმება მილიონობით ჩინელი მუშისათვის რეალური ხელფასის მნიშვნელოვან შემცირებას ნიშნავს.

სამხედრო დიქტატურის, რეპრესიების გაძლიერება მშრომელთა წინააღმდეგ მოწმობს, რომ ჩინელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დასაცავად შექმნილი არმია პეკინელ ხელმძღვანელთა ავანტიურისტული საშინაო და საგარეო პოლიტიკის იარაღი გახდა. ეს არის „ჩინეთის კომპარტიის მე-9 ყრილობის“ ერთ-ერთი მთავარი შედეგი.

დაითხოვეს პარლამენტი

ლონდონი, 22 მაისი. (საკდესი). **ირლანდიის პრეზიდენტმა დე ვალერამ პრემიერ მინისტრის ლინჩის რეკომენდაციით დღეს გამოაცხადა, რომ პარლამენტი დათხოვნილია და 18 ივნისს გაიმართება ახალი საყოველთაო არჩევნები.**

თუმცა, ირლანდიის კონსტიტუციით, მმართველ პარტიას ფიანა ფაილს, რომელიც მსხვილ მრეწველთა და მიწათმოქმედთა ინტერესების წარმომადგენელია, შეეძლო კიდევ ერთ წელიწადს დარჩენილიყო ხელისუფლების სათავეში, მაგრამ ახალი არჩევნების დანიშვნა მაინც არ ყოფილა მოულოდნელი. პარტიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს არჩევნების საშუალებით განიმტკიცოს საკმაოდ შერყეული პოზიციები.

მთავრობის პარტიის პოზიციების ამ სისუსტის მაჩვენებელია მისი დამარცხება გასული წლის ოქტომბერში.

მაშინ მმართველმა პარტიამ ვერ შეძლო პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა შეეცვალა მაჟორიტარული სისტემით, რაც საშუალებას მისცემდა ფიანა ფაილის პარტიას განიმტკიცებინა თავისი მდგომარეობა პარლამენტში.

ამაგდარი მეცნიერი



პროფესორ ა. კახნიაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

არიან ადამიანები, რომლებსაც წელთა სიმძიმე ვერას აკლებს. ერთი ასეთთაგანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის პროფესორი ალექსანდრე ილარიონის-ძე კახნიაშვილი, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა.

ალექსანდრე კახნიაშვილი პატარაობიდანვე იწყებს მუშაობას — მშობლებს ემხარება სოფლის მეურნეობაში, ამასთან ეწაფება სწავლას და 1915 წელს ამთავრებს ზესტაფონის დაწყებით სასწავლებელს. მას სწავლის გაგრძელების საშუალება არა აქვს, ამიტომ იძულებულია დაიწყოს მუშაობა. 1915 წელს აბარებს გამოცდებს აფთიაქრის მოწაფის თანამდებობის დასაკავებლად, რის შემდეგ ორი წლის განმავლობაში ქ. ჯორში მუშაობს; 1918 წელს მიემგზავრება ხარკოვში, სადაც აბარებს გამოცდებს აფთიაქრის თანაშემწის თანამდებობაზე, რის შემდეგ ათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენი ხალხის ჯანმრთელობას სურამში, ჯორსა და თბილისში.

ამ წლებში ქართველი ხალხი დიდი ბრძოლის შემდეგ აარსებს საბჭოთა ხელისუფლებას. 1923 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის ქიმიურ-ფარმაცევტულ განყოფილებაზე, რომელსაც ამთავრებს 1928 წელს. აღსანიშნავია, რომ 1927 წელს იგი შედის მეორე — საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, სადაც ისმენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერების პ. მელიქიშვილის, მ. შალამბერიძის, ი. ქუთათელაძის, ნ. ციციშვილის და სხვების ლექციებს. ა. კახნიაშვილს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ტოვებენ ორგანული ქიმიის კათედრაზე სამუშაოდ. მას უნივერსიტეტში ხვაინთბილ დრო არ გაუწყვეტია კავშირი თავის ძველ სპეციალობასთან. იგი ღამის ცვლაში მუშაობდა აფთიაქში ფარმაცევტად და ემსახურებოდა ხალხის ჯანმრთელობას.

უნივერსიტეტში მუშაობით იწყება ალექსანდრე კახნიაშვილის ახალი ცხოვრება — ლექციები, სემინარები და სამეცნიერო მუშაობა.

ახლაც სიამოვნებით იგონებენ მისი აღზრდილები მასთან შეხვედრებს. თავმდაბალი, გულთბილი და ტაქტიანი ადამიანი კარგის მრჩეველი და ახალგაზრდის გზაზე დამყენებელი, — ასეთი იყო ამ ორმოცი წლის წინათ და ასეთი არის იგი ახლაც, 70 წლისა.

ა. კახნიაშვილს უნივერსიტეტში დაწყებისთანავე არ შეუწყვეტია ფიქრი და მეცადინეობა იმაზე, რომ საჭირო იყო კვალიფიკაციის ამაღლება. მართალია, იმ დროს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ იძლეოდა ფართო კვლევითი მუშაობის გაშლის საშუალებას, მაგრამ იგი ანას მაინც ასერხებს პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად; მუშაობს კატალიზატორების მოწამვლის საკითხებზე და 1940 წელს იცავს დისერტაციას მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. აქედან დაწყებული იგი ინტენსიურად ეწევა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. პარალელურად მას, როგორც კარგ სპეციალისტს და პედაგოგს, იწვევენ ლექციების წასაკითხად პოლიტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და ქუთაისის სუბტროპიკულ ინსტიტუტებში. სადაც მუშაობდა, ყველგან სიყვარულს და მადლობას იმსახურებდა.

1948 წელს ა. კახნიაშვილი მოსკოვს მიემგზავრება დოქტორანტურაში და მუშაობას იწყებს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს ი. ნასაროვის ლაბორატორიაში. იგი ახალგაზრდული ენერგიით ებმება სამეცნიერო მუშაობაში და ოთხი წლის განმავლობაში ასრულებს სადოქტორო დისერტაციისათვის ექსპერიმენტულ კვლევას და 1952 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში იცავს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ იმავე 1952 წელს იგი უბრუნდება მშობლიური თბილისის უნივერსიტეტს, სადაც ეწევა ფართო პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას. აქვე 1954 წელს მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას. პროფესორ ა. კახნიაშვილს გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მისი ძირითადი შრომები უმთავრესად უჯერი ნაერთების გამოკვლევას ეძღვნება. ეს არის ორგანული ქიმიის ის დარგი, რომელიც ახე აღმავლობით ვითარდება ეს 20-30 წელიწადია, რადგან კვლევის მიღებულ შედეგებს აქვს არა მარტო დიდი თეორიული მნიშვნელობა, არამედ უდიდესი პრაქტიკული გამოყენებაც. იუბილარის შრომებიდან აღსანიშნავია მის მიერ მიღებული დიენური სპირტების სინთეზი და მათი იზომერიზაცია. მის მიერ მიღებულმა თოელმა რიგმა ნივთიერებებმა ბიოლოგიურად აქტიური თვისებები გამოიჩინა. ცდებმა დაადასტურა, რომ პროფესორ ა. კახნიაშვილის მიერ მიღებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება — მეცნარეთა სტიმულატორი მაღალი თვისებებისაა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ იუბილარის შრომებში გამოტანილია მეტად საინტერესო თეორიული დასკვნები, ამავე დროს მის მიერ აღწერილია 300-ზე ახალი ნივთიერება, რომელთა შორის ბევრს ბიოლოგიურად აქტიური თვისებები აქვს.

პროფესორი ა. კახნიაშვილი არასოდეს არ ივიწყებს, რომ ერთ-ერთი მთავარი საკითხია ჩვენი ახალგაზრდობის — სტუდენტთა და მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი. მის მიერ თარგმნილია რამდენიმე სახელმძღვანელო, მოსწავლეებისათვის დაწერ

ჯადოსნური ოპერა

„რუსლან და ლიუდმილა“ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე

მსოფლიო საოპერო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში — გლინკას ზღაპრული-ეპიკური ოპერა „რუსლან და ლიუდმილა“ რუსული კლასიკური საოპერო სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაწარმოებია. მისი იდეა ბოროტი და კეთილი ძალების ბრძოლა, კეთილი საწყისის გამარჯვებაა.

„რუსლან და ლიუდმილას“ საფუძვლად დაედო პუშკინის მიერ ჭაბუკობის წლებში დაწერილი გენიალური პოემა. ოპერის ლიბრეტისტიც პუშკინი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი მოულოდნელი სიკვდილის გამო ოპერის ავტორი იძულებული გახდა მიემართა მეორეხარისხოვანი პოეტებისა და მოყვარულთათვის. ისე რომ ოპერის ლიბრეტო კოლექტიური შრომის ნაყოფია. ამიტომ იგი შედარებით ფრაგმენტული გამოვიდა. მაგრამ მთლიანად ოპერა ფრაგმენტულობისაგან იხსნა მუსიკალურმა დრამატურგიამ. გლინკას შემოქმედებითმა გენიამ შეძლო ერთ მთლიან მუსიკალურ-დრამატურგიულ ფორმად გაეერთიანებინა ლიბრეტოს სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთთან ნაკლებ დაკავშირებული მონაკვეთები.

„რუსლან და ლიუდმილას“ გასცენიურების ტრადიცია ძირითადად ეძყარება თვით გლინკას განსაზღვრას, რომელმაც თავის ამ ნაწარმოებს „ჯადოსნური ოპერა“ უწოდა. ამიტომ „რუსლან და ლიუდმილას“ დადგმებში ხაზგასმულია ჯადოსნური ხასიათის გარეგნული მხარე, რაც მნიშვნელოვანწილად ანელებს აქტიორთა ფუნქციონალურ დატვირთვას.

დამდგმელნი შეეცადნენ სპექტაკლში ისე შეეტანათ, რომ მოქმედების განვითარებას (დროის არავითარი დაბრკოლება არ შექმნოდა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მაყურებლის მიერ ნაწარმოების ემოციურ აღქმას.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დამდგმელებმა მეტი'ზეტად გადახარეს სასწორი. ამან გამოიწვია დეკორაციების ეფექტურობის დაყვანა მინიმუმამდე, ვერ იქნა გათვალისწინებული სცენის ტექნიკური შესაძლებლობანი, რამაც გავლენა იქონია განათების არასრული დატვირთვით გამოყენებაზეც. სასურველი შთაბეჭდილება ვერც მხატვრობამ მოახდინა (მხატვარი მ. მურვანიძე). მეტისმეტად მუქმა ფერებმა, ჭხატვრული მხარის გადაწყვეტამ პირობითობის პლანში, დეკორაციებით სცენის გადატვირთვამ ერთგვარად დაუკარგეს სპექტაკლს ფანტასტიკურობისა და ბრწყინვალების იერი, რაც მაინც ასე საჭიროა გლინკას ამ ნაწარმოებისათვის.

კოსტიუმების ავტორმა ჩუქერთმა „ულიანაშვილმა თავის ნამუშევრის საფუძვლად დაუდო გმირთა ხასიათები. წინა პლანზე წამოწია დამდგმელთა ჩანაფიქრი.

შესანიშნავია სპექტაკლის მუსიკალური ნაწილი. დირიჟორმა — რსფსრ სახალხო არტისტმა მ. ბუხბინდერმა დაბალული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად შექმნა ორკესტრის, სოლისტებისა და გუნდის შესანიშნავი ანსამბლი, რომელმაც წარმატებით დასძლია გლინკასეული ოპერის სირთულეები.

შეიძლება ითქვას, რომ ორკესტრმა და მისმა დირიჟორმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაეყვანათ მაყურებლამდე გლინკას ოპერის მშვენიერება.

ჩვენს თვალწინ გაიზარდა ნიჭიერი და პერსპექტიული ბანი, რუსლანის პარტიის შემსრულებელი თ. ლაფერაშვილი. რუსლანის პარტია გამოირჩევა კანტილენურობითა და გამომსახველობით, ძიაცავს მომღერლის მთელ დიაპაზონს. ახალგაზრდა სოლისტმა კარგი ვოკალური მომზადება გამოავლინა, რამაც შესაძლებლობა მისცა მას წარმატებით დაეძლია პარტიის სირთულეები.

ლიუდმილას პარტია მომღერლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ პროფესიონალიზმს. მასში კოლორატურული პასაჟები წმინდა ვირტუოზულ ხასიათს კი არ ატარებენ, არამედ მჭიდროდ უკავშირდებიან მუსიკალურ-სცენური სახის ხასიათს. ამ პარტიის შემსრულებელმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ნ. ტუღუშმა მაყურებელი მოხიბლა რბილი და ჰოეტური ელერადობის ხმითა და ჭეშმარიტად მაღალი კლასის საშემსრულებლო ოსტატობით.

ფარლაფის ზედმიწევნით კოლორიტული. სცენურად და ვოკალურად დასრულებული სახე წარმოადგინა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ი. შუშანიამ. მისი ბანი მასშტაბური ხასიათისაა, მომღერალი ოსტატურად უთავსებს ერთმანეთს გამომსახველ სცენურ მოქმედებასა და სასმოღერო ტექსტს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა იგორეთვე მაყურებელზე ამ პარტიის მეორე შემსრულებელმაც — ნ. ნადიბაიძემ.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თ. ზაალიშვილის სიმღერის შესანიშნავმა მანერამ განსაკუთრებული გამომსახველობა და პოეტურობა შესძინა ბაიანის მელოდიურ პარტიას. ამ პარტიის მეორე შემსრულებელმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. გაგუამ საინტერესო სცენიური და ვოკალური სახე შექმნა.

მაყურებელი კვლავ მოხიბლა ლამაზმა ლირიულმა სოპრანომ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. კუზნეცოვამ, რომელმაც დიდი ალმავლობით შეასრულა გორისლავას პარტია.

ხაზარელი თავადის რატმირის პარტიას კონტრალტო მღერის. ეს ხმა ჩვენს სინამდვილეში იშვიათობად იქცა, თუმცა თბილისის საოპერო თეატრის დასში ასეთი ხმაც აღმოჩნდა, პარტია შესასრულა კ. ლაშქარიოვამ.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო ფინისა და ნაინას შემსრულებლები კ. ფირცხალავა და თ. ლობჟანიძე.

კიევის მთავრის სვეტოზარის პარტიაში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა პ. თომაძემ, რომელმაც თავისი ღრმა პროფუნდოთი „მეომრის თავის“ ხმა გაასახიერა.

საინტერესო, შინაარსიანი და ხატოვანია ზურაბ კიკალეიშვილის ქორეოგრაფია. მან ოსტატურად გამოიყენა მთელ რიგ ადგილებში ქართული ცეკვის მოტივები. სოლისტ-მოცეკვავეთაგან განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ნაინას მოცეკვავე ორეულის შესრულებელმა მ. მახარაძემ. ტემპერამენტიანი და სცენიურად საინტერესო იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. ბადალაძის „ჩერნომორი“. მაყურებელმა გულთბილად მიიღო აგრეთვე რ. ოსსაული, მ. გოდერძიშვილის, ვ. კოპიცასა და მ. ბუთხუზის გამოსვლები.

საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა გუნდმა (ქორმეისტერები თ. სანაია და ა. დანელიანი). „რუსლან და ლიუდმილას“ გუნდები იმდენად მაღალი მხატვრული ღირსებისა არიან, რომ მათ ხშირად საკონცერტო შესრულებითაც ვისმენთ ხოლმე, ხოლო რა შეეხება ცნობილ ფინალს, იგი მსოფლიო საგუნდო ხელოვნების თვალსაჩინო მონაპოვარს წარმოადგენს.

საგუნდო პარტია „რუსლან და ლიუდმილასი“ რიტმულად და ინტონაციურად ემოციურობითა და განწყობილებათა კონტრასტულობით ფრიად დიდ სირთულეს წარმოადგენს. თბილისის საოპერო თეატრის საგუნდო კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჩინებულად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

საპრემიერო სპექტაკლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო გლინკას მუსიკა.

თენგიზ ჩოჩუა,
დოცენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მუსიკალური ხელოვნების განყოფილების გამგე.

• • •

სურათზე: სცენა მ. გლინკას ოპერიდან „რუსლან და ლიუდმილა“, რუსლანი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ლაფერაშვილი, ლიუდმილა — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ტუღუში.

ფოტო შ. ფიჩხაძისა.

საქართველოს მთა და ბარში

საქართველო ჰრეფია ქართველ კინოდრამატურგს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის კომიტეტმა და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა გასულ წელს გამოაცხადეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონკურსი თანამედროვეობის ამსახველ საუკეთესო კინოსცენარზე.

შეჯიდა კონკურსის შედეგები. პირველი პრემია მიენიჭა ქართველ კინოდრამატურგს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს სულიკო ჟღენტს კინოსცენარ „დიდის ფიქრებისათვის“.

საინტერესო ნაკოვნი

ფითელწყაროო. სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადირმა არჩილ ბაღაშვილმა და ექსკავატორის მემანქანემ ვალიკო ხიზანიშვილმა მინდორში ნაშალი მიწა შენიშნეს, მიწის თხრის დროს ჯერ 2 კვადრატული მეტრი ფართობის ქვის სახურავი გადაეგოჩრეს, ხოლო 1.5 მეტრის სიღრმეზე ნახეს სამარხი. იქ იპოვეს ადამიანის ძვლები, თიხის ჭურჭელი და მეომრის სპილენძის ფარები.

(საქდესი).

კონკურსის ლაურეატი საქვეყნოდ ცნობილი ფილმის „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორია.

გუშინ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ს. ჟღენტის სახელზე მოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტისა და ჟიურის თავმჯდომარის ა. რომანოვის დეპეშა: „დიდი კმაყოფილებით გაცნობებთ, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საუკეთესო სცენარების კონკურსის ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება თქვენს სცენარს — „დიდის ფიქრებს“ მიანიჭოს პირველი პრემია. გულითადად გილოცავთ და გისურვებთ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს“.

დღეს მთის სოფელში

ახმეტა. (საქ. კორ.). ფიჩხოვანი მაღალმთიანი სოფელია. ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობასთან შეერთების შემდეგ მან სახე იცვალა. აციმციმდნენ ციხოფერი ეკრანები. ამ დღეებში კი მწყობრში ჩადგა სასოფლო ამანო, რომელიც საბჭოთა მეურნეობის სახსრებით თბილისის „მეტრომშენმა“ ააშენა.

ინგლისელი ჟურნალისტები თბილისში

სურათზე: ინგლისელ ჟურნალისტთა ჯგუფი (მარცხნიდან): ჯ. ეუოლენი, პ. ზენკინი, ჯ. ფიფერი, ა. ჰეტერინგტონი, რ. სტივენსი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

22 მაისს სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ. გუშინ ისინი ეცნობოდნენ ქალაქს, იყვნენ ჩაის სახლში, შამპანური ღვინოების ქარხანაში, დაესწრნენ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ კონცერტს. საღამოს უცხოელის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებაში ჟურნალისტებს უზრუნეს დოკუმენტური ფილმები საქართველოს შესახებ.

ინგლისელი ჟურნალისტები ჩვენს რესპუბლიკაში სამ დღეს დარჩებიან. ამ ხნის განმავლობაში ისინი გაეცნობიან ისტორიულ ძეგლებს, დაათვალიერებენ სამგორს, „გაეცნობიან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასა და კულტურას.

თბილისიდან ინგლისელი ჟურნალისტები გაემგზავრებიან სოჭში, შემდეგ კი ინახულებენ ვოლგოგრადს.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირას მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება ჯგუფი ინგლისელი ჟურნალისტებისა — გაზეთ „გარდიანის“ მთავარი რედაქტორი ალისტარ ჰეტერინგტონი, საერთაშორისო საკითხებზე ინგლისელ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ჯონ ფიფერი, ყოველკვირეულ გაზეთ „ობსერვერის“ რედაქტორი საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში რობერტ სტივენსი, გაზეთ „მორნინგ სტარის“ პოლიტიკური კორესპონდენტი პიტერ ზენკინი და გაზეთ „სან“-ის კორესპონდენტი შრომის საკითხებში ჯეფრი გუდმენი.

ფრიბლიკა

საჭადრაკო დავა

ბადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის დავა გრძელდება. გავლილია მომქანცველი დისტანციის ორი მესამედი და ჯერ კიდევ არაფრის თქმა არ შეიძლება, თხუთმეტი პარტიის შემდეგ ანგარიშია 7,5:7,5.

ასეთ ვითარებაში ყოველ ახალ პარტიას შეუნელებელი ინტერესით მოელიან. ასე იყო გუშინაც, როცა მოსკოვის ესტრადის თეატრში მეტოქეები ტ. პეტროსიანი და ბ. სპასკი ყვლავ მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდას. მეთექვსმეტე პარტიაში თეთრებით თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი. 32-ე სვლაზე ეს პარტიაც ყაიმით დამთავრდა. ანგარიში გახდა 8:8.

ოპოზიციის ბაიდაში

ოპაზლოებული ფინიში

მუშაობის ველორბოლის მონაწილეებს ფინიშის წინ მძაფრი ბრძოლა აქვთ. გუნდურ ასპარეზობაში ლიდერობას მტკიცედ ინარჩუნებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსმბოლები.

მეთორმეტე ეტაპის (ოტბუსი-დრეზდენი) დისტანცია 133 კილომეტრი იყო. აქ ყველას აკობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა დ. გონშორეკმა.

ველორბოლის საერთო ლიდერად რჩება ფრანგი სპორტსმენი ჟან დანგიმი. საბჭოთა ველოსმრბოლებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს დმიტრიევს. მას მეოთხე ადგილი უჭირავს.

შვიდეულების ზაფხული

პირველი წრის შემდეგ

უკვე რამდენიმე წელიწადია ჭმსჯელობთ იმაზე, უმაღლესი ლიგის გუნდების ძალები ნამდვილად თუ გათანაბრდაო. და აი ახლა, როცა შემოღებულია გათამაშების აზარტული სისტემა, როცა არა ერთი, რამორიც წინა ჩემპიონატებში იყო, არამედ ერთბაშად ექვსი გუნდი უნდა დარჩეს მთავარი ტურნირის ფარგლებს გარეთ და დაწყებული უნდა იქნას უძნელესი ბრძოლა ადგილის მოსაპოვებლად უმაღლეს ლიგაში, ბეჯერამეს სხვა თვალით უნდა შეეხედოთ. წინათ გუნდების დიდ ჯგუფს შეეძლო ნება მიეცა თავისი თავისათვის საბრალო ადგილებისათვის ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, ეთამაშა ისე, რომ განსაკუთრებით არ დაეძაბა ძალები. ისინი არავითარ რისკს არ ეწეოდნენ, მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლების უზრუნველყოფა არც თუ ისე ძნელი იყო. ახლა კი ყველა შეშფოთებულია, ყველას ერთი საზრუნავი აქვს — მოხვდნენ შვიდეულში.

და აი გამოირკვა, რომ 20 კლუბისსტემის მომხრე არა ვარ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი ჭირი მარგებლიაო, და კი ჩვენ მივიღეთ საინტერესო მონაკვეთები ჩვენი უმაღლესი ლიგის მდგომარეობის შესახებ.

ყურადღებას იპყრობს სხვა გარემოებაც: ცოტაა გოლები. ამის დასადასტურებლად თავს ნებას მივიღებ რამდენიმე ციფრი მოვიყვანო. გასულ 30 ჩემპიონატში საშუალოდ ერთ მატჩში გუნდებს 2,78 ბურთი გაჰქონდათ. ორიგი ქვეჯგუფის 90 მატჩში გატანილია 156 გოლი ანუ თითო თამაშში 1,7. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითეული თამაშში აკლია ერთი გოლი. ეს ძალიან ბევრია.

ეს რით შეიძლება აიხსნას? შეიძლება გაზაფხულს დავბრალოთ, რომელიც მუდამ ძუნწია გოლებზე. შეიძლება ვილაპარაკოთ შეხვედრების უდიდეს დაძაბვაზე გათამაშების ახალი სისტემის დროს, როცა ყველა გუნდს უნდა თავიდან აიცილოს ყოველგვარი რისკი, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს გარემოებანი გარკვეულ როლს ასრულებენ.

მაგრამ საიდუმლოება როდია, რომ წლევანდელ გაზაფხულს კლუბების უმრავლესობისათვის ნიბას მივიღებ ლ ი ნ ერგიული მოძრაობა, დინამიკურობა, საკმაოდ შეთანხმებული ტაქტიკური ურთიერთობა. ერთი სიტყვით, გარეგნულად ფეხბურთი ცოდად რდი გამოიყურება. შეიძლება შევნიშნოთ სხვა რამეც: საგოლო, მწვავე მომენტი ჯართან არც თუ ისე ცოტა იყო. ვგონებ, იმ დრომ, როცა ზოგიერთ გუნდს წმიდად სწამდა, მასიერებული დაცვით შეიძლება თუნდაც ერთი ქულა შევინარჩუნოთო, უკვე განვლო. ახლა ყველანი ისწრაფვიან ეწეოდნენ აქტიურ, შემხვედრ თამაშს. და მაინც, მიუხედავად ამისა, გოლები ძალიან ცოტაა.

ამის შესახებ მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა. უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ფეხბურთის კონსტრუქციაში არსებითი ცვლილებები მოხდა. ნიმუშად შერჩეულ იქნა მსოფლიოს ჩემპიონი — ინგლისის ნაკრები გუნდი. მან მწვრთნელები იმით მოხიბლა, რომ შეადგინა ნახევარმცველთა ძლიერი ჯგუფი მოედნის შუაში ოთხი კაცისაგან, წინ ძაკვდა მხოლოდ ორი თავდამსხმელი და უარი თქვა გარემარბებზე. მოდაში შედიოდნენ მოთამაშეები, რომლებსაც უნიფორსალებს უწოდებდნენ და შეეძლოთ თავდაცვაც, იერიშების წამოწყებაც და „დინამოს“ გუნდები არიან. ერთსაც და მეორესაც წინა ხაზში ჰყავს ნამდვილი ფორვარდები, რომლებსაც გოლები გააქვთ. ხოლო „სპარტაკი“, თუმცა მან ყველაზე მეტი გოლი გაბარტანა, იმედს ამყარებს მეორე ხაზის მოთამაშეთა დარტყმებზე (8 ბურთი 13-დან), მაშინ როცა ზოგიერთ სპარტაკელ ფორვარდს დღემდე არ გაუხსნია პირადი ანგარიში. მოსკოვის „დინამო“, რომლის წარმმატებლობამ ასე გააკვირვა ყველა, ახლა გულმოდგინედ უტევს, აქტიურად თამაშობს, მაგრამ, როცა აშკარა უპირატესობას აღწევს, ვერ გაუნაღდებია იგი სწორედ იმის გამო, რომ ფორვარდები საკირო ოსტატობას ვერ იჩენენ. ანალოგიური მდგომარეობაა მოსკოვის „ტორპედოშიც“, სადაც სტრელცოვის ავადმყოფობის გამო მისი ახალგაზრდა პარტნიორები დაობდნენ და ჯეროვნად ვერაო თამაშობენ. ცსკა-ც, მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში ცუდი მდგომარეობა რდი აქვს, ამას მაინც მცვლელს უნდა უმადლოდეს და არა ფორვარდს, რომლებიც ჯერჯერობით დაუსაბუთებლად მოქმედებენ.

თბილისის გუნდი, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ ვნახე, მინსკის დინამოელებთან შეხვედრისას. მახსოვს, მოსკოვში რომ დაბრუნდი, ჩემი კოლეგა ჟურნალისტების შეკითხვებზე ასე ვუპასუხე: „არ ვიცი, რაგომ არ უნდა იბრძოლონ თბილისელებმა ჩემპიონის წოდებისათვის! ამ გუნდში სუსტი ადგილი არა ჩანს“. მე ახლაც იმავე აზრისა ვარ. მართალია, სხვის მოედნებზე ოთხი ფრე დამაფიქრებელი ფაქტია. ხომ არ ირწმუნოს თბილისელებმა, რომ ჯასლოთს თამაშში ერთი ქულაც საკმარისია? მოვგონებთ, რომ კიეველებმა სტუმრად ყოფნისას ორი გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო „სპარტაკმა“ — სამი. მაშასადამე, გამარჯვება შესაძლებელია. მეორე წრეში კი თბილისელებს ხუთი თამაში სხვა ქალაქებში აქვთ, და არცთუ იოლი, ხოლო ფრეს ძებნაში შეიძლება მარცხიც განიცადონ. მაღალი ადგილის პრეტენდენტი მოვალეა თავისი ძალების რწმენა ჰქონდეს. მშვიდობისმოყვარეობა და კომპრომისები მას არ შეშვენის.

ქუთაისელებს შარშანდელი ჩემპიონატის შეღავათიან პირობებში შეეძლოთ თავისთვის ნება მიეცათ უკანასკნელისწინა ადგილზე ყოფილიყვნენ. ახლა ისინი ვგიჩვენებენ, რომ არაფერი არ ჩამოუვარდებიან ბევრ სხვა კლუბს. როგორც იტყვიან, მდგომარეობა ვალდებულებას გაკისრებს. ჯუნდი, რომელიც წინათაც თვალისათვის სასიამოვნო, მაღალტექნიკური, ჯორეტული იყო, ახლა, სატურნირო გარემოებებთან წაეჩეხებული, გამოკოკოხლდა, უფრო ენერგიული გახდა. მისი შანსების შეფასება მიჭირს: იგი უკვე სხვა კლუბთან თანაბარ მდგომარეობაშია, და როგორ განიმუხტება ასეთი იშვიათი სიტუაცია, ამის თქმა შეუძლებელია. ერთი რამ უეჭველია. მეორე წრეში ყველა მისი მეტოქე შეიცდება წინ გაიჭრას. დიდად საეჭვოა, რომ ჯუნდს ეს მხედველობიდან არ გამორჩეს.

შუა ივლისში ყველაფერი ცხადი გახდება. დარჩა ორ თვეზე ნაკლები. ჯერ კი ყველაფერი იმდენად ბუნდოვანია, რომ ასტროლოგს თუ შეეკითხები!

ლ. ფილატოვი,
ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის“ რედაქტორი.



• სიახლენი დედაქალაქში •

ადამიანი და სამყარო

ეს პანო, რომელსაც „ადამიანი და სამყარო“ ეწოდება, 88 კვადრატული მეტრია. დიდი ოსტატობით შესრულებული ფერადი მოზაიკა, რომელმაც ამერიკაკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ეზო დაამშვენა, ასახავს მსოფლიო ასტრონომიის და მეტეოროლოგიის განვითარების ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე — კოსმოსის ეპოქამდე. პანოზე მუშაობდა მხატვარ-შემსრულებელთა ჯგუფი კ. წერეთლის, დ. ზარაფიშვილის, ე. სარაბიანის, გ. ავეტისოვის, ა. კუროპოვის შემადგენლობით. რომელსაც ლეო შენგელია ხელმძღვანელობდა. ფოტო ს. კილაძისა.

სსრ კავშირის თასზე

როგორც ვიუწყებოდით, მატჩი ვორონეჟში ადგილობრივი „ტრუდისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდებს შორის, როგორც ძირითად ისე დამატებითს დროში დამთავრდა 0:0. გუშინ ეს კოლექტივები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად წარმატება ვორონეჟის „ტრუდს“ ხვდა ანგარიშით 1:0.

მატჩი ლვოვში „კარპატისა“ და ერევნის „არარატის“ გუნდებს შორის დამთავრდა ლვოველთა გამარჯვებით 2:1.

მერვედფინალური მატჩებში, რომლებიც 27 და 28 ივნისს გაიმართება, შეხვდებიან კიევის „დინამო“ და ყარაგანდის „შახტიორი“, ეტომირის „ავტომობილისტი“ და ცსკა, ტაგანროგის „ტორპედო“ და დონის როსტოვის სკა, მოსკოვის „დინამო“ და ვლადიოსტოკის „ლუჩი“, ლვოვის „კარპატი“ და ოდესის „ჩერნომორეცი“, ვორონეჟის „ტრუდი“ და სარატოვის „სოკოლი“, ნიკოლაევის „სუდოსტროიტელი“ და ყაზანის „რუბინი“, ლენინგრადის „ზენიტი“ და მოსკოვის „ტორპედო“.

„კომუნისტის“ რედაქციას

გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენო ყველა ორგანიზაციასა და კოლექტივს, მკითხველებს, ჩემს თანამოკალმეებსა და საზღვარგარეთელ კოლეგებს, რომლებმაც მომილოცეს დაბადების 50 წელი და მთავრობის მაღალი ჯილდოს მიღება.

იოსეგ ნონეშვილი.

ფ. ვ. შოთაძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ექიმ თა დაბელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულების კათედრის დოცენტმა ფელიციტა ვიქტორის ასულმა შოთაძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ქოლეცისტოპათიების კლინიკის და პათოგენეზის საკითხისათვის ბავშვთა ასაკში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ფ. ვ. შოთაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

რადიო

25 მაისი
პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.15 — „დილა მშვიდობისა“ (მოსკოვი), 11.00 — „პიონერთა დაფიონი“ (მოსკოვი), 11.45 — დ. თორაძე. ფრაგმენტები ბალეტიდან „ჯორდა“, 12.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 12.05 — მუსიკალური რადიოფიშა, 12.30 — რადიოეურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „ა. ბალანჩივაძე“, 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ზარმაცი“, 14.45 — საუბარი — „ქიმია — ხალხს“, 15.00 — კონცერტი „მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთათვის“ — მღერის ლამარა ჭყონია, 15.30 — აფრიკული პოეტების ლექსები, 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — მღერის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“, 17.30 — ჟურნალისტის ნაამბობი „აფრიკის ჭრელი პალიტრა“, 17.45 — რ. ლაღიძე. კამერული ნაწარმოებები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — ციკლიდან „ასე გვიანდერძა ილიჩმა“ რადიომოთხრობა „ქვეყნის დიდი ქიმიაზ“ (მოსკოვი), 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.30 — ევრიპიდე. „მედეა“. რადიოსპექტაკლი, 21.30 — პუჩინი. ოპერა „ჯანი სკიკი“, 22.50 — არენსკი. ფანტაზია რიაბინინის ბილიენის თემაზე, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

24 მაისი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „იყავით ბედნიერნი“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები“ (გადმოცემა ლენინგრადიდან). 12.00 — ეკვის საახლე (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა, „გლობუსი“, 14.00 — „ტელეპანორამა“, 17.00 — „სოფლის კლუბი“ — გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის, 18.00 — მოზარდთა შორის ევროპის ტურნირი ფეხბურთში — ნახევარფინალი (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 19.30 — გადაცემა „კომპოზიტორი მოდესტ მუსორგსკი“, 20.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „დაუვიწყარი დღეები“, 20.45 — კინონარკვევი, 21.05 — „ქალაქის ესთეტიკური პრობლემები“ (გადმოცემა მეორე), 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „13 სკამი“ — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში ვაჟთა შორის (გადმოცემა პოლონეთიდან).

თეატრები

24 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჩიო-ჩიო-სანი (I აბონ. მე-2 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ბებერი მეზურნეები, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სიყვარული სახუმარო არ არის, **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩემი შვილი ძმა, **ფილარმონიის საზაფხულო** — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“ (დღის 5 ს. და საღ. 8 ს.). **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დონ სეზარ დე ბაზანი (№ 10 აბონ. დილის 10 ს. № 11 და № 40 აბონ. დღის 5 ს.), **თოჯინების ქართული** — თეთრი ცუგა (11 ს. და 12 ს.).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99 87 61, პროპაგანდის —93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 03277

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.